



## შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი“

### უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი

#### თავი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ (შემდგომში-კოლეჯი) უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებს.

#### თავი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები

2.1. კოლეჯის დაცვის თანამშრომლები უზრუნველყოფს:

ა) კოლეჯის კუთვნილი ქონების დაცვას;

ბ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

გ) კოლეჯის შენობა-ნაგებობაში უნარშეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების დახმარებას გადაადგილების დროს (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

კოლეჯის მედდა უზრუნველყოფს:

2.2 გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას;

დ) კოლეჯის შენობა-ნაგებობაში უნარშეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სამედიცინო და სხვა დახმარება საჭიროების მიხედვით (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

#### თავი 3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

3.1. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება;

3.2. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით;

3.3. აკრძალულია კოლეჯის შენობაში ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შეტანა;

3.4. ევაკუაციის შემთხვევაში ადგილზე მყოფი კოლეჯის თანამშრომლები იკავებენ მდგომარეობას უახლოეს გასასვლელებთან და მეთვალყურეობენ ევაკუაციის მიმდინარეობას.

3.5. საგანგებო ვითარების დროს, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის ადმინისტრაცია ან კომენდანტი უკავშირდება შესაბამის უწყებებს (სასწარაფო, სახანძრო, პატრული და ა.შ).

#### **თავი 4. ევაკუაციის პროცედურები**

4.1. ხანძრის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ნებისმიერი პირი ვალდებულია აცნობოს დაცვის სამსახურს;

4.2. ხანძრის შესახებ ელექტრო ან ხმოვანი სიგნალის შემთხვევაში ყველასათვის სავალდებულოა შენობის დაუყოვნებლივი დატოვება;

4.3. ყველა პირი ვალდებულია აუცილებლად გაეცნოს ევაკუაციის მარშრუტს;

4.4. ევაკუაციის პროცესი იწყება იმ პირებით, რომელთაც არ სჭირდებათ სხვების დახმარება გარეთ გასასვლელად; ეს გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაშავებას ევაკუაციის დროს;

4.5. ერთი ადამიანი პერსონალის შემადგენლობიდან უნდა დარჩეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან, რომელიც დაეხმარება მას გასვლაში, მას შემდეგ, რაც სხვები დატოვებენ შენობას, სხვებმა კი მათი ადგილმდებარეობის შესახებ უნდა აცნობონ დაცვისა და სამაშველო სამსახურებს;

4.6. ოთახების და აუდიტორიების დატოვებისას, შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა დაიხუროს ფანჯრები და კარები, რაც ხელს შეუშლის ცეცხლის გავრცელებას;

4.7. პირადი ნივთების წაღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დრო იძლევა ამის საშუალებას;

4.8. ევაკუაციის დროს უნდა შენარჩუნდეს სიმშვიდე და სიწყნარე, რათა ყველამ გაიგონოს დაცვის სამსახურის მითითებები, რომელიც ხელმძღვანელობს ევაკუაციის პროცესს;

4.9. თუ თქვენი გასასვლელი ჩახერგილია, პირი უნდა განთავსდეს შედარებით უსაფრთხო ადგილას, ეცადეს დარეკოთ სხვებთან და აცნობოს მათ საკუთარი ადგილმდებარეობის შესახებ, ხოლო შემდეგ დაელოდოს მაშველებს;

4.10. აკრძალულია დაბრუნება შენობაში სანამ დაცვის სამსახური არ გასცემს შესაბამის მითითებას;

#### **თავი 5. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა**

5.1. კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი.

5.2. ისეთი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომლის კომპეტენცია არ აქვს კოლეჯის მედდას, გამოძახებული იქნება სასწარაფო დახმარება.

5.3. კოლეჯი იღებს ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე, ამისათვის, პერიოდულად მოხდება არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და შემდეგ მათი გამოყენება.

#### **თავი 6. მედდა**

6.1. მედდას თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი;

## 6.2. მედდის უფლებები და მოვალეობები:

- უზრუნველყოფს თანამშრომელთა და სტუდენტების პირველად სამედიცინო მომსახურებას;
- მონიტორინგს აწარმოებს სასწავლებელში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვაზე;
- საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის გადამოწმებას.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის შენობის პერიმეტრზე საჭიროებისამებრ დახმარების უზრუნველყოფა.

## 6.3. მედდა ვალდებულია:

- იცოდეს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა (მათ შორის შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე სტუდენტების) რაოდენობა;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიოს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, თანამშრომლებსა და მასწავლებლებს;

## **თავი 7. დასკვნითი დებულებანი**

7.1. ამ წესს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

7.2. ამ წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტან ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.